



„რასა“,  
რასიალიზაცია  
და გლობალური  
მიგრაცია

გზამკვლევი  
სახელმძღვანელოს  
ავტორებისთვის

# „რასა“, რასიალიზაცია და გლობალური მიგრაცია

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI)

2022





კუბიკაციის გამოცემა დაფინანსებულია საქართველოში აშშ-ის საელჩოს აღუმინის სამსახურის მიერ და მის მიერ მიმდინარეობის დროის განმავლობაში.

კუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი და ის შესაძლოა, არ ასახავდეს აშშ-ის საელჩოს შეხელულებებს.

აკტიონი:

ეპა ჰითანავა

ასისტენტი:

## ნინო თეთრაული

## კორექტურა:

ԵՊՀ ԱՎՀԱՆՁՐ

დიზაინი:

## ԱՐԱԽՈՎԱՅԻ ՈՒՆԱՎԱՐՈՒԹԻ

୪୮

Արքայի Սպառականություն, 17426

## ყოველი დღისათვის:

ბისინ თანილია

© ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), 2022

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) წერილობითი ნებართვის გარეშე.

ବେବିବେରଣ୍ଣୀ

[www.tdi.ge](http://www.tdi.ge)



<b>შესავალი.....</b>	<b>6</b>
არაეთიკური და რასისტული აღწერის მაგალითები ქართული სასკოლო სახელმძღვანელოებიდან.....	8
„რასა“ და რასიზმი: პონტიესტი და ძირითადი განმარტებები.....	11
„რასის“ ცნებასთან დაკავშირებით სამეცნიერო დასაბუთება.....	16
რატომ და რა მნიშვნელობით გვხვდება ტერმინი „რასა“ სამართლებრივ დოკუმენტებში?.....	24
<b>როგორ განიმარტება „რასა“ სხვადასხვა ქვეყნის სასკოლო სახელმძღვანელოებსა და პროგრამებში?.....</b>	<b>30</b>
რატომ არის მცდარი რასობრივი კლასიფიკაციის სწავლებასკოლებში.....	35
მიგრაციასა და მიგრანტებთან დაკავშირებული თემების განხილვა სახელმძღვანელოებში.....	38
მულტიერიალის მასალები საქართველოში მცხოვრებ მიგრანტები.....	45



Technology Development International



# შესავალი

---



ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) წლების გან-  
მავლობაში სწავლობს სხვადასხვა საგნის სასკოლო სახელმძღვანელოებს.  
კვლევის მიზანი სახელმძღვანელოების კულტურული, რელიგიურ-ეთნიკუ-  
რი მრავალფეროვნების, ტოლერანტობის, თანასწორობისა და ადამიანის  
უფლებების დაცვის, დისკრიმინაციის აკრძალვის კონტექსტში შესწავლა  
და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებაა.

TDI-მ 2018 წელს მოამზადა გზამკვლევი ქართული ენისა და ლიტერატურის,  
ისტორიისა და სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოების ავტორებ-  
ისთვის, სადაც წარმოდგენილია ამ სახელმძღვანელოების კვლევის შედ-  
ეგები და კონკრეტული რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს  
წიგნების შინაარსი ინტერკულტურული ასპექტების, ეთნიკურ-რელიგიური  
მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის კულტურის ასახვის კუთხით.

მომდევნო წლებში TDI-ს მიერ სასკოლო სახელმძღვანელოების ანალიზმა  
ასევე აჩვენა, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებში (უმეტესად გეოგრაფიის)  
ხშირად გვხვდება რასისტული ტერმინები და თეორიები. ასევე გლობალურ  
მიგრაციასა და მიგრანტებთან დაკავშირებული თემები ზოგჯერ მოიცავს  
ისეთ სტერეოტიპებს, რომლებიც აღვივებს ქსენოფობიას, ისლამოფობიას და  
მიგრანტებსა და ლტოლვილებს, განსაკუთრებით კი უსაბუთო მიგრანტებს,  
უარყოფით კონტექსტში წარმოაჩენს.

შესაბამისად, წინამდებარე გზამკვლევის მიზანია, განათლების სამინის-  
ტროს, ავტორებსა და გამომცემლებს შესთავაზოს სამეცნიერო ცოდნასა და  
საერთაშორისო აკადემიურ გამოცდილებაზე დაფუძნებული კონკრეტული  
რეკომენდაციები, რომლებიც მათ დაეხმარება, თავიდან აირიდონ ზემოთ  
ჩამოთვლილი ხარვეზები და შეცდომები.

გზამკვლევი მოიცავს „რასასთან“, რასობრივ კლასიფიკაციასა და რასიზმ-  
თან დაკავშირებით ისტორიული კონტექსტის აღწერას და სამეცნიერო  
განმარტებებს, ასევე მიგრაციასთან დაკავშირებით გავრცელებული სტერ-  
ეოტიპული წარმოდგენების ანალიზსა და ალტერნატიულ მაგალითებს,  
სახელმძღვანელოებში ხშირად გამოყენებული ტერმინების მცირე ლექ-  
სიკონს და მათ სწორ განმარტებებს.

არაეთიკური და  
რასისტული აღნიშვნის  
მაგალითები  
ეპოქული სასპოლო  
სახელმძღვანელოებიდან

---



„გაიხსენე – რა არის რასა, რა ნიშნების მიხედვით და რამდენ ძირითად რასად იყოფა კაცობრიობა?“

„მოსახლეობის გარეგნული ნიშნებით დაყოფას რასობრივი სტრუქტურა ჰქვია.

რასების საზღვრები პირობითია, რადგან მოსახლეობის დიდი ნაწილი წარმოშობილია სხვადასხვა რასის შერევით და გარდამავალ და შერეულ რასას წარმოადგენს. გარდამავალი რასების წარმომადგენლები არიან მულატები – ევროპელთა და ნეგროიდთა შთამომავლები, მეტისები – ევროპელთა და ინდიელთა შთამომავლები, სამბო<sup>1</sup> – ინდიელთა და ნეგროიდთა შთამომავლები და სხვ“.

„მოსახლეობის რასობრივი სტრუქტურა (პროცენტული ნილი მსოფლიო მოსახლეობაში):

ევროპეიდული – 42.9%; მონდოლოიდური (აზიური და ამერიკული შტოები) – 19.1%; ნეგროიდული – 7%; ავსტრალოიდური – 0.3%; გარდამავალი (მეტისი<sup>2</sup>)“.

„თანამედროვე რასების გეოგრაფია:

„დედამიწაზე მრავალი რეგიონი და ქვეყანაა, სადაც ერთმანეთის გვერდით სხვადასხვა რასის, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ოჯახების წარმომადგენლები ცხოვრობენ“.

„დავალება, კითხვა: მოიძიე დამატებითი ინფორმაცია და იმსჯელე, როგორ ცხოვრობენ სხვადასხვა გეოგრაფიულ გარემოში სხვადასხვა რასისა და ეთნოსის ადამიანები, როგორი კულტურა და საქმიანობა აქვთ მათ“.

1 „სამბო“ არის მკვიდრი მოსახლეობის ალმნიშვნელი შეურაცხმყოფელი ტერმინი, ზოგჯერ აფრიკული წარმოშობის ალმნიშვნელადაც გამოიყენებოდა.

2 „მეტისები“ პოლიეთნიკური მკვიდრი მოსახლეობაა კანადასა და მტკნარი ტბების რეგიონში. მეტისი კონკრეტული ხალხია თავიანთი განსხვავებული კულტურითა და ენით. ისინი სამხრეთ ამერიკის ზოგიერთი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობასაც შეადგენენ (პარაგვაი (95%), ეკვადორი (65%), კოლუმბია (58%)). ჩრდილოეთ ამერიკაში, კანადის კონსტიტუციით, ისინი აღიარებული არიან, როგორც მკვიდრი მოსახლეობის განსხვავებული ჯგუფი.



„აფრიკის კონტინენტზე სამივე ძირითადი რასის ხალხი ცხოვრობს – ევროპეიდული, ეკვატორული და მონღოლოიდური“.

„ეთიოპიის მთიანეთი დასახლებულია ეთიოპელებით, რომლებიც ევროპეიდულ და ნეგროიდულ რასებს შორის გარდამავალი არიან. ისინი ნაკვთებით ევროპელებს ჰქვანან, ხოლო კანის ფერით – ნეგროიდებს, მაგრამ შედარებით ღია ფერის კანი აქვთ.

კუნძულ მადაგასკარზე მაღაგასიელები ცხოვრობენ, რომლებიც მონღოლოიდური და ნეგროიდული რასების შერევით წარმოიშვნენ“.

„აფრიკის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მკვიდრი მოსახლეობა – ნეგროიდები არიან, რომლებიც ეკვატორული რასის აფრიკულ შტოს მიეკუთვნებიან, ხოლო კონტინენტის ჩრდილოეთი არაბი ხალხებითაა დასახლებული. ავსტრალიის მოსახლეობის 97% ევროპიდან გადმოსახლებულია, ხოლო დანარჩენი — აბორიგენი“.

„რახიტით ავადდებიან შავკანიანი ადამიანები“.

„რასა“ და რასიზმი:  
პონტევსტი და ძირითადი  
განმარტებები

---



ენციკლოპედია ბრიტანიკა ტერმინ „რასას“ შემდეგნაირად განმარტავს: „რასა“ არის იდეა, რომლის მიხედვითაც ადამიანთა სახეობები იყოფა განსხვავებულ ჯგუფებად მემკვიდრეობით გადაცემული ფიზიკური და ქცევითი განსხვავებების საფუძველზე. მე-20 საუკუნის გენეტიკურ კვლევებზე დაყრდნობით, მეცნიერებმა უარყვეს ბიოგენეტიკურად განსხვავებული რასების არსებობა“. სტენფორდის ფილოსოფიის ენციკლოპედიაშიც აღნიშნულია, რომ რასობრივ კატეგორიებთან დაკავშირებით არსებობს ფართო სამეცნიერო კონსენსუსი: ცალკეული რასების იდეა ხელოვნურად შექმნილია და ბიოლოგიურად არ არსებობს<sup>3</sup>.

რასა, როგორც კატეგორია, მეცნიერებმა შექმნეს ბიოლოგიური სახეობებისა და ევოლუციის შესწავლისას და ამ ტერმინს მე-17 საუკუნიდან სულ უფრო ხშირად იყენებდნენ. ასე აღინიშნებოდა ადამიანთა ჯგუფები, რომელთაც შთამომავლობით გადაცემული საერთო ბიოლოგიური თუ ანთროპოლოგიური ნიშნები აქვთ. ადამიანებს ფიზიკური ნიშან-თვისებების, თავის ქალის ფორმის, აღნაგობის, კანის ფერისა და სხვა მონაცემების მიხედვით აჯგუფებდნენ ბიოლოგები, ექიმები, ანთროპოლოგები თუ ფილოსოფოსები.

მაგალითად, მე-18 საუკუნეში შვედმა ნატურალისტმა კარლ ლინეუსმა „ბუნების სისტემის“ (Systema Naturae) მე-10 გამოცემა გამოაქვეყნა. ეს მისი ფუნდამენტური ნაშრომია ბუნების კლასიფიკაციის შესახებ. ლინეუსი ადამიანებს ცხოველთა სამყაროს მიაკუთვნებდა. იგი განსაზღვრავდა ადამიანთა ოთხ ძირითად რასას და ორ დამატებით ტიპს — მონსტრებსა და ველურ ადამიანებს. იგი ასევე ახასიათებდა ოთხივე რასის ქცევით თავისებურებებს. ლინეუსის გავლენა კვლავ იგრძნობა რასობრივ კატეგორიებზე მსჯელობისას. შემდგომში გერმანელი ფიზიოლოგი იოჰან ბლუმენბახი, თავის ქალის ზომებისა და კანის ფერის მიხედვით, მსოფლიოს მოსახლეობას ხუთ „ძირითად სახეობად“ ყოფდა: „კავკასიური“, „მონდოლოიდური“, „მალაური“, „ეთიოპიური“ და „ამერიკული“. ბლუმენბახს ეგონა, რომ თავის ქალის „ორიგინალი“ ფორმა იყო „კავკასიური“, რადგან კასპიის ზღვის მახლობლად, უძველესი ადამიანებისთვის იდეალური კლიმატური პირობები უნდა ყოფილიყო. მას შეცდომით სჯერდა, რომ დანარჩენი ფორმები იყო ორიგინალის (კავკასიური ან ევროპული რასის) დამახინჯებული ან ტრანს-

3 იხ. <https://plato.stanford.edu/entries/race/> ბოლო შესწორება, 25 მაისი, 2020.



ფორმირებული ვერსია. თუმცა, დღეს არსებული სამეცნიერო მონაცემებით მტკიცდება, რომ უძველესი ადამიანის სახეობის წარმოშობის ადგილი სუბ-საჰარაა<sup>4</sup>.

მე-19 საუკუნეში ამერიკელი ფიზიოლოგი სემუელ მორტონი ინტელექტს თავის ქალების მოცულობის გაზომვით აფასებდა. მან შეგროვებული თავის ქალები მდოგვის მარცვლებით და ტყვიის საფანტით აავსო და შემდეგ ისინი კატეგორიებად დაყო: მისი მტკიცებით, „კავკასიურ“ თავის ქალას ყველაზე დიდი გონებრივი შესაძლებლობები ჰქონდა, რომელსაც მოსდევდა „მონ-ლოლოიდური“, „მალაური“, „ამერიკული“ და „ეთოპური“ თავის ქალები. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ მორტონი შედეგებით მანიპულირებდა. თანამედროვე მეცნიერება ადასტურებს, რომ კავშირი თავის ქალის ზომასა და ინტელექტს შორის არ არსებობს.

მე-19 საუკუნის ევროპაში რასობრივი თეორიების პოპულარიზაციაში დიდი წვლილი მიუძღვის ფრანგ მეცნიერს, ჯოზეფ-არტურ დე გობინოს. მისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნაშრომია ადამიანთა რასების უთანასწორობის შესახებ (Essay on the Inequality of Human Races), რომელიც 1853-55 წლებში გამოქვეყნდა.

გობინო ამბობდა, რომ ცივილიზაცია სამი ძირითადი რასისგან შეიქმნა (თეთრი, შავი და ყვითელი), თუმცა ყველა მათგანი თეთრი რასისგან წარმოიშვა და ცივილიზაცია ამ ურთიერთქმედების გარეშე ვერ განვითარდებოდა. მისი თქმით, თეთრ რასაში ყველაზე გამორჩეული არიული რასა იყო. როდესაც არიულმა რასამ ქორწინებით სისხლი შეურია უფრო დაბალ რასებს, ამან გამოიწვია ცივილიზაციის უკუსვლა.

მეოცე საუკუნეში, გავლენიანმა ამერიკელმა ანთროპოლოგმა კარლტონ კუნმა (Carlton Coon) გამოყო ჰომო საპიენსის ხუთი ჯგუფი: კავკასიელი, მონდოლოიდი (ადგილობრივი ამერიკელები და აღმოსავლეთაზიელები), ავ-სატრალოიდი (ავსტრალიის მკვიდრი მოსახლეობა) და ორი ტიპის ნეგროიდი — კაპოიდი და კონგოიდი (სამხრეთი აფრიკა და კონგო). თანამედროვე

<sup>4</sup> ი. Michael B. C. Rivera, Race and Human Variation (University of Cambridge, 2019), <https://www.dw.com/downloads/53790471/race-and-human-variation-by-michael-b.c>



მეცნიერება ამ კლასიფიკაციასაც უარყოფს.

ეს ტიპოლოგიები მენდელისა და დარვინის კვლევებამდეა შექმნილი. ამიტომ ისინი ბუნებრივი სელექციის თანამედროვე პრინციპებს არ შეესაბამება. მენდელის პრინციპის მიხედვით კი არ არსებობს მახასიათებლების „შეკვრა“, რომელიც განსხვავებულ რასებს ახასიათებს. ასევე, მაგალითად, ქერა თმა და ცისფერი თვალები ყოველთვის ერთ კომბინაციაში არ გვხვდება, ისევე როგორც კონკრეტული კანის ფერი და თმის ფერი არ არის ერთმანეთზე მიბმული, არამედ ეს მახასიათებლები ერთმანეთისგან დამოუკიდებელია.

1854 წელს გამოქვეყნდა ჯოსაია ნოტის და ჯორჯ გლიდონის (Josiah Clark Nott, George Robins Gliddon) წიგნი „ადამიანთა ტიპები“ (Types of Mankind), რომელიც პოპულარიზაციას უწევს პოლიგენიზმს, ანუ მოსაზრებას, რომ ადამიანთა რასები განსხვავებული სახეობებია და ცალ-ცალკე შეიქმნა. პოლიგენიზის მიმდევრებს უამრავი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. 1972 წელს გამოქვეყნდა ნაშრომი „ადამიანის მრავალფეროვნების განაწილება“ (The Apportionment of Human Diversity), რომელიც სისხლის სხვადასხვა ჯგუფის გენეტიკურ მონაცემებს აანალიზებდა. ევოლუციონისტი და გენეტიკოსი რიჩარდ ლეუონტინი (Richard Lewontin) ამბობდა, რომ „რასებს“ შორის გენეტიკური განსხვავებები მცირეა იმ გენეტიკურ განსხვავებებთან შედარებით, რაც ერთი „რასის“ ნარმომადგენელთა შორის არსებობს. მოძევნო კვლევები ამ შედეგებს ადასტურებს<sup>5</sup>.

რასობრივი კლასიფიკაცია წლების განმავლობაში ძალაუფლების იარაღად, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მიზნებისთვის გამოიყენებოდა. 1880-იანი წლების ბოლოს, ბიოლოგმა ფრენსის გალტონმა და მისმა თანამოაზრებმა საფუძველი ჩაუყარეს ევგენიკის მიმდინარეობას. მეცნიერები ცდილობდნენ ხელოვნური გადარჩევით „იდეალური“ ადამიანის შექმნას. მოგვიანებით, ნაცისტებმა „რასობრივი სიწმინდის“ იდეოლოგია ადამიანთა იძულებითი სტერილიზაციისა და პოლოკოსტის გასამართლებლად გამოიყენეს. ნაცისტურმა რეჟიმმა შეინირა მილიონობით ადამიანი, მათ შორის, ებრაელები, ბოშები, შავკანიანები და პომოსექსუალები.

5 იხ. Alan H. Goodman, Yolanda T. Moses, and Joseph L. Jones, Race: are we so different? (Malden, MA: Wiley-Blackwell, 2012), <http://site.ebrary.com/id/10634642>



დღეს ადამიანთა კატეგორიზება რასების მიხედვით მეცნიერულად უარყოფილია, „რასა“ — სოციალურ-პოლიტიკური კონსტრუქტია, რომელიც ადამიანებმა გამოიგონეს ჩაგვრისა და მონობის გასამართლებლად. შესაბამისად, აღარ ითვლება ეთიკურად და აკადემიურად რასობრივი ტიპოლოგიების გამოყენება ადამიანთა ფენოტიპური, ფიზიოლოგიური თუ ინტელექტუალური მახასიათებლების აღწერისას<sup>6</sup>.

მე-19-მე-20 საუკუნეებში ამერიკელი სოციოლოგი უილიამ ედუარდ დიუბოა ამტკიცებდა, რომ ის, რასაც „რასის“ საშუალებით ბიოლოგიურ ახსნას უძებნიდნენ, სინამდვილეში კულტურულ-სოციალური განსხვავებები იყო. იგი ეწინააღმდეგებოდა „თეთრებად“ და „შავებად“ რასობრივ კატეგორიზაციასაც კი. ასეთი ტიპოლოგიები, მისი აზრით, კულტურულ და ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას უგულებელყოფდა.

ადამიანზე, როგორც ბიოლოგიურ სახეობაზე საუბრისას, მეცნიერების ნაწილი გვთავაზობს, „რასა“ ჩავანაცვლოთ ტერმინებით — „შთამომავლობა“ (ancestry) ან „პოპულაცია“. მათი აზრით, ეს ტერმინები უკეთ აღწერს გენეტიკურ განსხვავებებს ინდივიდუალურ და პოპულაციის დონეზე. 1950 წლიდან „რასის“ „ხალხებად/პოპულაციებად“ ჩანაცვლების იდეა მეცნიერებს „ახალი ფიზიკური ანთროპოლოგიის“ პიონერებმა, შერვუდ ვოშბერნმა, თეოდ-ოსიუს დობჟანსკიმ და ჯულიან ჰაქსლიმ შესთავაზეს. მათი განმარტებით, „ხალხები/პოპულაცია“ (population) არის ადამიანთა ჯგუფი, რომელთაც პოტენციურად აქვთ შეჯვარების შესაძლებლობა საერთო გეოგრაფიის, ენის, ეთნოსის, კულტურის, ლირებულებებისა და სხვა მახასიათებლების გამო. ერთი პოპულაციის ნარმომადგენლებს შესაძლოა ჰქონდეთ ბევრი საერთო გენეტიკური ნიშან-თვისება (შედეგად, ბევრი საერთო ფენოტიპური მახასიათებელი, რომელიც შეიძლება იყოს ან არც იყოს ვიზუალურად შესამჩნევი)<sup>7</sup>.

<sup>6</sup> აღნიშნულ საკითხზე მასალები ხელმისაწვდომია დოკუმენტური ვიდეოების სერიაში „რასა, ილუზიების გავლენა“ (RACE - The Power of an Illusion), ავტორები: Othering and Belonging Institute; California Newsreel, Barkley University, The American Culture Center, <https://www.racepowerofanillusion.org/videos/measuring-genetic-variation-between-groups>

<sup>7</sup> იხ. Michael B. C. Rivera, Race and Human Variation (University of Cambridge, 2019), <https://www.dw.com/downloads/53790471/race-and-human-variation-by-michael-b.c>

„რასის“ ცნებასთან  
დაკავშირებით  
სამეცნიერო დასაბუთება

---



დღეს არა მხოლოდ სოციალური მეცნიერები, არამედ ბიოლოგები და გენეტიკოსებიც ეწინააღმდეგებიან ადამიანების რასებად დაყოფას. ამ საკითხზე ბევრი სტატიაა გამოქვეყნებული სამეცნიერო ჟურნალებში, სადაც მეცნიერების დიდი უმრავლესობა ამტკიცებს, რომ რასობრივი კატეგორიები მცდარია, არ აღნერს გენეტიკურ მრავალფეროვნებას და მათი გამოყენება აღარ არის მიზანშენონილი<sup>8</sup>.

2018 წლის მარტში ჟურნალმა National Geographic მთელი ნომერი მიუძღვნა რასების თემას: როგორ ყოფს, განსაზღვრავს და აჯგუფებს რასა ადამიანებს<sup>9</sup>. სტატიის ავტორი, ელიზაბეთ კოლბერტი ვრცლად ჰყვება რასების იდეის წარმოშობისა და ინტერპრეტაციების შესახებ.

ადამიანის ნამარხი მაროკოში, რომელიც ერთ-ერთი ბოლო აღმოჩენაა, გვაფიქრებინებს, რომ ანატომიურად თანამედროვე ადამიანი 300,000 წლის წინ აფრიკაში გაჩნდა. მომდევნო 200,000 წელი ჰომი-საპიენსი აფრიკაში დარჩა, მაგრამ ამ პერიოდის განმავლობაში ჯგუფებმა მიგრაცია დაიწყეს კონტინენტის სხვადასხვა ნაწილში, ერთმანეთს დასცილდნენ და ახალი პოპულაციები შექმნეს.

ადამიანის სახეობაში წარმოდგენილი გენეტიკური ვარიაციები ევოლუციური პროცესის შედეგია. ამ პროცესის ნაწილია მუტაცია – გენეტიკური კოდის შემთხვევითი ცვლილება. **მუტაცია** მეტ-ნაკლებად თანაბარი ინტენსივობით ხდება და რაც უფრო დიდხანს არსებობს ჯგუფი და თავის გენებს თაობიდან თაობას გადასცემს, მით უფრო მეტად იცვლება მისი გენები. ამავე დროს, რაც უფრო დიდხანს არის ორი ჯგუფი ერთმანეთისგან იზოლირებული, მით უფრო განსხვავებულია ცვლილებები მათ გენებში.

8 იხ. „რასა სოციალური კონსტრუქტია: რასობრივი კატეგორიები გენეტიკურ მრავალფეროვნებას ვერ ხსნის და აღარ უნდა გამოვიყენოთ“, Scientific American, 2016, <https://bit.ly/3AyMSch>

9 იხ. Elizabeth Kolbert, “The Race Issue, There’s No Scientific Basis for Race — It’s a Made-Up Label,” National Geographic, March 12, 2018. <https://www.nationalgeographic.com/magazine/article/race-genetics-science-africa>



თანამედროვე ადამიანები აფრიკაში ყველაზე დიდხანს ცხოვრობდნენ.

მათ საკმარისი დრო ჰქონდათ უზარმაზარი გენეტიკური მრავალფეროვნების ჩამოსაყალიბებლად, რაც კანის ფერსაც ეხება. მკვლევრები, რომლებიც ამ საკითხს სწავლობენ, ზოგჯერ მეგზურად აფრიკის ლინგვისტურ მრავალფეროვნებას იყენებენ — იქ 2,000-ზე მეტი ენაა.

დნმ-ს ხშირად ტექსტს ადარებენ, რომლის ასოებიც ქიმიურ ფუძეებს აღნიშნავს: „ა“ ადენინს, „გ“ გუანინს, „ც“ ციტოზინს და „თ“ თიმინს. ადამიანური გენომი სამი მილიარდი დაწყვილებული ფუძისგან შედგება — ერთიმეორის მიყოლებით „ა“, „გ“, „ც“ და „თ“ წყვილებისგან — რომლებიც დაახლოებით 20,000 გენად იყოფა. ცვლილება, რაც გამოიხატება აღმოსავლეთაზიელების უფრო სქელი თმით, ერთ გენში ერთი ფუძის — „თ“-ს (თიმინის) „ც“-თი (ციტოზინი) შეცვლის შედეგია.

ანალოგიურად, მუტაცია, რომელმაც განაპირობა ევროპელების უფრო ღია ფერის კანი, ერთი ცვლილებაა ერთ გენში, რომელსაც SLC24A5 უწოდებენ და რომელიც 20,000 ფუძის წყვილისგან შედგება. იქ, სადაც სუბსაპარელი აფრიკელების უმეტესობას „გ“ („გუანინი“) აქვს, ევროპელებს აქვთ „ა“ („ადენინი“).

უძველეს ადამიანთა ძვლებიდან აღებული დნმ-ის შესწავლისას პალეოგენეტიკოსებმა აღმოაჩინეს, რომ დასავლეთევროპელებში „გ“-თი „ა“-ს ჩანაცვლება არცთუ დიდი ხანია, დაახლოებით 8,000 წლის წინ მოხდა ახლო აღმოსავლეთიდან მიგრირებული ადამიანების მიერ, რომლებმაც ევროპელებს ასევე ახალი ტექნოლოგია — მიწათმოქმედება გააცნეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ევროპის მაშინდელი ბინადრები — მონადირე-შემგროვებლები, რომლებმაც კედლის ნახატები შექმნეს ლასკოს მღვიმეში, სავარაუდოდ, მუქანიანები იყვნენ და არა თეთრკანიანები. უძველესი დნმ გვაფიქრებინებს, რომ ბევრ მუქანიან ევროპელს ცისფერი თვალები ჰქონდა, რაც დღეს იშვიათი კომბინაციაა.

შესაბამისად, მეცნიერების უმრავლესობის მოსაზრებით, გენეტიკა გვიჩვენებს, რომ შერევა და ჩანაცვლება ხშირ-ხშირად ხდებოდა და ჩვენი წარსული წარმოდგენები რასობრივი სტრუქტურის შესახებ თითქმის ყოველთვის მცდარია. მართალია, საუკუნეების განმავლობაში იზოლაციამ განსხვავებები



გააჩინა ხალხებს შორის, მაგრამ მიგრაციამ და შერევამ ეს განსხვავებები გააფერმურთალა ან ზოგ შემთხვევაში წაშალა.

ადამიანის გენომის კვლევებმა მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში აჩვენა, რომ არ არსებობს ბიოლოგიურად ჰომოგენური ხალხის ჯგუფები, და არც არას-დროს ყოფილა. სოციალურად განსაზღვრული რასობრივი კატეგორიები არ შეესაბამება ჩვენი სახეობის გენეტიკურ მახასიათებლებს. ორი ნებისმიერი ინდივიდის დნმ-ის 90%-ზე მეტი იდენტურია, რაც ნიშნავს, რომ ინდივიდებს შორის დნმ-ის ძალიან მცირეპროცენტიანი სხვაობა არსებობს. კვლევების თანახმად, საშუალოდ, ადამიანებში გენეტიკური ვარიაციის 4,3% ვლინდება კონტინენტურ პოპულაციებს შორის (მაგალითად, აფრიკა, აზია, წყნარი ოკეანის კუნძულები, ევროპა). მაშინ, როდესაც გენეტიკური ვარიაციის 95,7% თვითონ აღნიშნულ ჯგუფებს შიგნით ვლინდება (Rosenberg, 2011; Rosenberg et al., 2002)<sup>10</sup>.

---

<sup>10</sup> იხ. Brian M. Donovan Rob Semmens, Phillip Keck, Elizabeth Brimhall, K. C. Busch, Monica Weindling, Alex Duncan, Molly Stuhlsatz, Zoë Buck Bracey, Mark Bloom, Susan Kowalski, Brae Salazar, Toward a more humane genetics education: Learning about the social and quantitative complexities of human genetic variation research could reduce racial bias in adolescent and adult populations (Science Education, 2019), 103: 529 – 560, <https://doi.org/10.1002/sce.21506>



იხ. დიაგრამა (Rosenberg (2011)).

წყარო: <https://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1002/sce.21506#sce21506-bib-0134>



კანის ფერის განსხვავებული ტონების წარმოქმნაში ბუნებრივმა გადარჩევ-ამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა. ხალხს, რომლებიც მზიან, ეკვატორულ რეგიონებში ცხოვრობდნენ, განუვითარდათ უფრო მუქი კანის ფერი, რათა აერიდებინათ ულტრაიისფერი გამოსხივება და მისი უარყოფითი გავლენა. დროთა განმავლობაში კი, ბუნებრივი გადარჩევით მოხდა კანის ფერის განაწილება მზის სინათლის ინტენსივობის მიხედვით.

დღეს კანის ფერების გამა აფრიკის კონტინენტზე ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე სხვაგან. მიუხედავად იმისა, რომ თეთრკანიანის წარმოდგენით, შეიძლება სხვა ფერის კანის მქონე ადამიანები უფრო მეტად მსგავსები ჩანდნენ გარეგნულად, აფრიკის კონტინენტზე მცხოვრები მოსახლეობა და აფრიკელი ამერიკელები გენეტიკური თვალსაზრისით უფრო მრავალფეროვანი არიან, ვიდრე ნებისმიერი სხვა ხალხი დედამიწაზე<sup>11</sup>.

<sup>11</sup> Adam Rutherford, "How to fight racism using science," the Guardian, January, 2020, <https://bit.ly/35cqcmo>



გარდა ევოლუციური პროცესისა, ადამიანის ვარიაციებზე უდიდეს გავლენას ახდენს ფიზიკური გარემო და კულტურა. გენეტიკურად მსგავსი ინდივიდები სხვადასხვა გარემო პირობებში, განსხვავებულად ვითარდებიან. ასევე ბევრი თვისება, რომელიც ადამიანის პოპულაციებს ერთმანეთისგან განასხვავებს, კულტურის გავლენით ყალიბდება. კულტურული წარმოდგენები განსაზღვრავს ადამიანთა ქცევას, ტრადიციებს, ცხოვრების წესს, კვების რაციონს, საცხოვრებელ პირობებსა და სამუშაო გარემოს; თავის მხრივ, ეს ფაქტორები ახალისებენ ან აბრკოლებენ ადამიანის ზრდასა და განვითარებას.

საბოლოოდ, მიუხედავად ფიზიკური თუ კულტურული განსხვავებებისა, ჩვენ ყველანი ერთ სახეობას წარმოვადგენთ – თანამედროვე ადამიანის პოპულაციები გენთა უზარმაზარი რაოდენობის გაცვლის შედეგია. ფიზიკურ მახასიათებლებს შორის ისეთი განსხვავებები, როგორებიცაა სიმაღლე, კანის ფერი, თმის სტრუქტურა და სახის ნაკვთები მარტივად შესამჩნევია. ზოგი განსხვავება მემკვიდრეობითი ხასიათისაა, ზოგს კი კულტურული თავისებურება განაპირობებს.

2019 წელს ფრიდრიხ შილერის იენის უნივერსიტეტმა და გერმანელ ზოოლოგთა ასოციაციამ მიიღო დეკლარაცია<sup>12</sup>, სადაც ნათქვამია, რომ ადამიანთა კლასიფიკაციამ რასების მიხედვით, მიგვიყვანა დევნაძე, მონობასა და მილიონობით ადამიანის განადგურებამდე. დღესაც, ტერმინი „რასა“ ხშირად გამოიყენება ადამიანთა ჯგუფებთან მიმართებით.

12 იხ. ფრიდრიხ შილერის იენის უნივერსიტეტის დეკლარაცია, 2019,  
[https://www.uni-jena.de/en/190910\\_JE\\_en](https://www.uni-jena.de/en/190910_JE_en)



„თუმცა ამისთვის არ არსებობს ბიოლოგიური საფუძველი და არც არასდროს არსებულა, — აღნიშნავენ დეკლარაციის ავტორები, — შევახსენოთ ერთმანეთს და სხვებსაც, რომ რასიზმმა წარმოშვარასები და ზოოლოგია/ანთროპოლოგიაში ითამაშა დიდი როლი სავარაუდო ბიოლოგიური დასაბუთების შექმნაში“.

1998 წელს, ამერიკის ანთროპოლოგთა ასოციაციამ (AAA) გააკეთა განცხადება, სადაც აღნიშნულია:

„გენეტიკური ანალიზით მიღებული მტკიცებულებები აჩვენებს, რომ ე.წ. რასობრივ ჯგუფებს შიგნით გენეტიკური ვარიაციები გაცილებით მეტია, ვიდრე ამ ჯგუფებს შორის. ...ისტორიის განმავლობაში, როდესაც განსხვავებული ხალხები ერთმანეთს ხვდებოდნენ, ხდებოდა შეჯვარება. გენეტიკური ინფორმაციის ამ ურთიერთგაცვლამ კაცობრიობა ერთ სახეობად ჩამოაყალიბა“.

„რასა“ კოლონიზაციის დროს ადამიანთა კლასიფიკაციის საშუალება იყოდა უთანასწორობაზედაფუძნებული იდეოლოგიის რაციონალიზაციისთვის გამოიყენებოდა. მე-19 საუკუნეში რასობრივი თეორიებისა და მონობის მომხრეები „რასას“ სწორედ ამ მონობის გასამართლებლად იყენებდნენ“.

„რასობრივ მითებს ადამიანების რეალურ შესაძლებლობებსა და ქცევასთან კავშირი არ გააჩნია. მეცნიერები დღეს აღიარებენ, რომ ადამიანთა განსხვავებების შესახებ ფოლკლორულ წარმოდგენებზე დაყრდნობამ უამრავ შეცდომამდე მიგვიყვანა“<sup>13</sup>.

13 იხ. განცხადების სრული ტექსტი:

<https://www.americananthro.org/ConnectWithAAA/Content.aspx?ItemNumber=2583>



„რასასა“ და „რასიზმზე“ ვრცელი განცხადება აქვს გამოქვეყნებული ამერიკის ფიზიკურ ანთროპოლოგთა ასოციაციასაც (AAPA) (1996):

„“რასა” ვერასდროს აღწერდა ადამიანების ბიოლოგიურ განსხვავებებს. იგი არასდროს ყოფილა ზუსტი ტერმინი ნარსულში და დღესაც მცდარია, როდესაც ადამიანთა თანამედროვე პოპულაციების რეპრეზენტაციისთვის ვიყენებთ. ადამიანები არ იყოფიან ბიოლოგიურად განსხვავებულ ჯგუფებად, კონტინენტურ თუ რასობრივ გენეტიკურ კლასტერებად“<sup>14</sup>.

---

14 იხ. სრული ტექსტი:

<https://physanth.org/about/position-statements/aapa-statement-race-and-racism-2019/>

რატომ და რა  
მნიშვნელობით  
გვხვდება ტერმინი  
„რასა“ სამართლებრივ  
დოკუმენტებში?

---



თუკი მეცნიერების უმრავლესობა თანხმდება, რომ ტერმინი „რასა“ მოძველებული და არააკადემიურია, მაშინ რატომ გვხვდება იგი დღემდე ბევრ სამართლებრივ დოკუმენტში, მათ შორის, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და დეკლარაციებში?

1965 წელს შეიქმნა გაეროს საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად. ამ კონვენციის მიხედვით, „რასობრივი დისკრიმინაცია“ ნიშნავს ნებისმიერ განსხვავებას, განსაკუთრებულობას, შეზღუდვას ან უპირატესობას, დაფუძნებულს **რასაზე**, ფერზე, ეროვნულ ან ეთნიკურ წარმოშობაზე.

თუმცა, აქ სიტყვა „რასას“ არ აქვს ის მნიშვნელობა და შინაარსი, რომელიც რასობრივ ტიპოლოგიებში გვხვდება. აქ იგი გამოყენებულია რასის საფუძველზე დისკრიმინაციის შინაარსის აღსაწერად და არა რასობრივი განსხვავების აღსანიშნად.

ამის შესახებ წერია ევროპის კავშირის სახელმძღვანელო დოკუმენტებშიც, კერძოდ, 2000 წლის 29 ივნისის 2000/43/EC საბჭოს დირექტივაში<sup>15</sup>, რომელიც ადგენს თანაბარი მოპყრობის პრინციპს პირთა მიმართ, განურჩევლად მათი რასობრივი ან ეთნიკური წარმოშობისა (Council Directive 2000 / 43 / EC of 29 June 2000 implementing the principle of equal treatment between persons irrespective of racial or ethnic origin).

„ევროპის კავშირი უარყოფს თეორიებს, რომლებიც ამტკიცებს ადამიანთა განსხვავებული რასების არსებობას. დირექტივაში მოყვანილი ტერმინი “რასობრივი წარმოშობა” (racial origin) არ გულისხმობს ასეთი თეორიების მიმღებლობას“, — აღნიშნულია დოკუმენტში.

---

<sup>15</sup> n.b. Council Directive, Implementing "the principle of equal treatment between persons irrespective of racial or ethnic origin," 2000/43/EC, June 29, 2000, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/GA/TXT/?uri=CELEX%3A32000L0043&fbclid=IwAR0c-UAAjULWADCkLtkGY-Dq4nP Eg iAWRC3st4axpRpkctUmyT2VcHfybV8%20%20>



**რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისია (ECRI)** საკუთარ პოზიციას ტერმინ „რასასთან“ მიმართებით განმარტავს ეროვნულ კანონმდებლობაში რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის დაძლევასთან დაკავშირებით ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაციაში №7 (2002<sup>16</sup>).

რეკომენდაციის თანახმად, „ყველა ადამიანი განეკუთვნება ერთ სახეობას, **ECRI უარყოფს განსხვავებული “რასების” შესახებ თეორიებს.** თუმცა, აღნიშნულ რეკომენდაციაში ECRI იყენებს ტერმინს “რასა”, იმისთვის, რომ ადამიანები, რომლებიც ზოგადად და მცდარად არიან აღქმული “განსხვავებული რასის” წარმომადგენლებად, იყვნენ კანონმდებლობით დაცული“.

შესაბამისად, სიტყვა „რასის“ ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად<sup>17</sup>.

ყოველთვის, როდესაც სამართლებრივ და ადამიანის უფლებათა კონტექსტში ვახსენებთ ტერმინ „რასას“, ეს მოიზარებს დისკრიმინაციას, ამ ნიშნით რაიმე ხელოვნურად შექმნილ განსხვავებას, შეზღუდვას ან უპირატესობის მინიჭებას, და არა ბიოლოგიურ თუ გენეტიკურ მოცემულობას.

2018 წელს სიტყვა „რასა“ საფრანგეთის კონსტიტუციიდან ამოიღეს, როგორც მოძველებული და თავისთავად რასისტული ტერმინი. ხოლო 2020 წელს ამერიკაში ჯორჯ ფლოიდის მკვლელობის შემდეგ, გერმანიის ბუნდესტაგმა დაიწყო მსჯელობა, რომ სიტყვა „რასა“ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონიდან (Grundgesetz) ამოიღონ, მისი რასისტული

16 ბოლო შესწორება შევიდა 2017 წელს, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/35d8IX1>

17 იხ. <https://bit.ly/3FISWji>



კონტაციის გამო<sup>18</sup>. ამ საკითხებთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. მაგალითად, ინტერსექციური<sup>19</sup> კვლევის ექსპერტები არ ეთანხმებიან „რასის“ კატეგორიის გაქრობას, რადგან, მათი აზრით, იგი მნიშვნელოვანი ანალიტიკური მონაცემია სტრუქტურული რასიზმის შესაფასებლად. მისი კანონმდებლობიდან გაქრობით კი, რასიზმის მსხვერპლი უხილავი ხდება.

ამ საკითხსა და „რასიალიზაციის“ ტერმინთან დაკავშირებით, ECRI-მ 2021 წლის 8 დეკემბერს პლენარულ შეხვედრაზე ისაუბრა და მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა<sup>20</sup>.

ECRI-ს თქმით, „რასა“, როგორც თავისთავად რასისტული ტერმინი, ევროპული ქვეყნების ნაწილის კანონმდებლობაში ქრება. თუმცა ECRI მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია, „რასა“ შენარჩუნდეს, როგორც [დისკრიმინაციის] საფუძველი და ნიშანი, იმისთვის რომ „განსხვავებული რასის“ წარმომადგენლებად მიჩნეულ ადამიანებზე თანაბრად გავრცელდეს კანონითა და სხვა სტანდარტებით გარანტირებული უფლებები. ამასთანავე, ECRI კიდევ ერთხელ გარკვევით ამბობს, რომ მის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებში „რასა“ ბიოლოგიური თავისებურების აღნიშვნის შინაარსით არ გამოიყენება.

---

18 იხ. Volker Witting, “‘Race’ has no place in the German constitution - or does it?”, DW, June 13, 2020, <https://www.dw.com/en/race-has-no-place-in-the-german-constitution-or-does-it/a-53790056>

19 იდენტობის ისეთი გააზრება, რომელიც ცნობს იდენტობის მრავალგვარი და ერთდროული გადაკვეთის წერტილების არსებობას (მაგალითად, სწავლობს არა მხოლოდ შავკანიანების პრობლემებს, არამედ სხვა იდენტობის ნიშნებსაც, როგორიცაა სექსუალური ორიენტაცია, რელიგიური კუთვნილება, გენდერი, რის გამოც ადამიანი უფრო მეტად შეიძლება განიცდიდეს სისტემურ, სტრუქტურულ დისკრიმინაციას).

20 იხ. რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) მოსაზრება „რასიალიზაციის“ ტერმინთან დაკავშირებით (მიღებული ECRI-ს 87-ე პლენარულ შეხვედრაზე, 2021 წლის 8 დეკემბერს), <https://rm.coe.int/ecri-opinion-on-the-concept-of-racialisation/1680a4dcc2>.

ტექსტის არაოფიციალური ქართული თარგმანი: <http://tdi.ge/ge/news/1009-ecri-s-mosazreba-rasializaciastan-dakavshirebit>



ECRI-ს მოსაზრებით, რელევანტური და აკადემიურ დისკუსიაში უკვე ფარ-თოდ დამკვიდრებული ტერმინია „რასიალიზაცია“, რომელიც სტრუქტურული და ინსტიტუციური რასიზმის ანალიზისთვის საჭირო ცნებად მიიჩნევა. ამ ტერმინით თანამედროვე ავტორები აღნიშნავენ პროცესს, რომლის დროსაც მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფ(ებ)ს, მიენერება გარკვეული ნიშან-თვისებები, რომლებიც წარმოჩენილია როგორც ამ ჯგუფის ყველა წევრის ბუნებრივი, უკვე თვითნაბადი თვისება. მიუხედავად იმისა, თუ საიდან არის ადამიანი წარმომავლობით ან რა გამოცდილება აქვს მას, როგორც კი ეს ადამიანი წარ-მოჩენდება ჯგუფის წევრად, ის უკვე იზიარებს ამ ჯგუფის მახასიათებლებად მიჩნეულ ყველა ნიშანს, მაგალითად, კანის ფერს, ეთნიკურ თუ ეროვნულ წარმომავლობას ან რელიგიას. ეს პროცესი ერთმანეთისგან განსხვავებულ ადამიანებს ერთგვაროვან ჯგუფად აქცევს და მისი წევრი დომინანტი ჯგუფ-ისთვის კულტურული „სხვა“ ხდება.

ECRI მიიჩნევს, რომ სწორი გამოყენებისა და სათანადო ახსნის შემთხვევაში, ცნება „რასიალიზაცია“ შეიძლება დაგვეხმაროს უკეთესად გავიგოთ, გამო-ვავლინოთ და პროაქტიულად რეაგირება მოვახდინოთ იმ გარემოებებზე, რომლებიც ხელს უწყობს რასისტული აზროვნების, დისკურსისა და პრაქ-ტიკის გავრცელებას დღევანდელ ევროპასა და მის მიღმა.



## რა წერია საქართველოს კანონმდებლობაში რასობრივ დისკრიმინაციაზე?

რასისა და კანის ფერის ნიშნით დისკრიმინაცია აკრძალულია **საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლით**.

რასა და კანის ფერი, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთი საფუძველი, გათვალისწინებულია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ **საქართველოს კანონის** პირველ მუხლში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი „რასობრივ დისკრიმინაციას“ ცალკე დანაშაულის სახედ განსაზღვრავს, ხოლო **შეუწყის-არებლობის** მოტივი, მათ შორის, **რასობრივი ნიშნით**, კოდექსით გათვალისწინებული ყველა დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის დამამდიმებელ გარემოებად არის გათვალისწინებული.

### რასასა და რასიზმის დამატებითი იხილები:

- რა არის რასა და რასიზმი?  
<https://bit.ly/3epL23C>
- რასიზმი და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია:  
<https://bit.ly/3nSlFuq>
- TDI-ის მიერ მომზადებული, მედიაში ხშირად გამოყენებული ტერმინების ლექსიკონი რელიგიურ, კულტურულ და ეთნიკურ მრავალფეროვნებაზე:  
[http://tdi.ge/sites/default/files/mravalperovnebis\\_gashukeba.pdf](http://tdi.ge/sites/default/files/mravalperovnebis_gashukeba.pdf)

როგორ განიმარტება  
„რასა“ სხვადასხვა  
ქვეყნის სასკოლო  
სახელმძღვანელოებსა  
და პროგრამები?

---



2017 წელს, ამერიკის ბიოლოგთა ეროვნული ასოციაციის უურნალში The American Biology Teacher გამოქვეყნდა სამეცნიერო სტატია Teaching Race (Bioculturally) Matters: A Visual Approach for College Biology Courses (რასის (ბიოკულტურული) სწავლება მნიშვნელოვანია: ვიზუალური მიდგომები ბიოლოგიის კურსის სწავლებისას)<sup>21</sup>:


ავტორი აღნიშნავს, რომ კლასში რასის სწავლებისას სამი ფაქტორი უნდა იყოს გათვალისწინებული:

- 1) ბიოლოგიურად განსხვავებული რასების იდეა არ არის მეცნიერულად დასაბუთებული;
- 2) თუმცა, რასის სოციალური და კულტურული კონსტრუქტები რეალურია;
- 3) რასა არ არის ბიოლოგიურად დეტერმინირებული, მაგრამ რასიზმს აქვს გავლენა ბიოლოგიაზე.


ავტორის თქმით, მოსწავლეებს უნდა ავუსტანათ, რომ ფიზიკური (ფენოტიპური) მონაცემები კომპლექსური მახასიათებლებია, რომლებზეც გავლენას ახდენს გენეტიკა (გენები), ფიზიკურ გარემოსთან ურთიერთქმედება (გარემო)<sup>22</sup> და სოციალური ქცევა (კულტურა). ქვემოთ მოცემული დიაგრამა ნათელ ნარმოდენას ქმნის გლობალურად არსებულ გენეტიკურ ვარიაციაზე, იმის საპირისპიროდ, თუ როგორ ინტერპრეტაციას ვახდენთ ჩვენ, ფიზიკური მონაცემების საფუძველზე.

21 იხ. Amelia Hubbard, "Teaching Race (Bioculturally) Matters: A Visual Approach for College Biology Courses," *The American Biology Teacher*, 79(7), (September 2017): 516–524.

22 იხ. ამერიკელი გეოგრაფის, ისტორიკოსისა და ანთროპოლოგის, ჯერედ დაიმონდის ნაშრომი, *Guns, Germs and Steel*, 1997, <https://on.natgeo.com/3qP0Van> ; <https://www.nationalgeographic.com/science/article/news-guns-germs-steel-jared-diamond-interview>



როგორ წარმოგვიდგენია  
გენეტიკური ვარიაცია?



როგორაა სინამდვილეში?

#### წყარო:

<https://online.ucpress.net/abt/article/79/7/516/18947/Teaching-Race-Bioculturally-Matters-A-Visual>

National Association of Biology Teachers

ამერიკის ანთროპოლოგთა ასოციაციას (AAA) აქვს მომზადებული სახელმძღვანელო დოკუმენტი სკოლების მასწავლებლებისთვის, თუ როგორ უნდა ისაუბრონ და ასწავლონ რასიზმის შესახებ. აღნიშნულ დოკუმენტში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ რასობრივი კატეგორიები არ უნდა გამოვიყენოთ გენეტიკური და ბიოლოგიური განსხვავებების აღსანიშნად<sup>23</sup>.

---

<sup>23</sup> ი. მ. Race: Joseph Jones, Mary Margaret Overbey, Alan Goodman, Carol Mukhopadhyay, Yolanda Moses and Amy Beckrich, A Teacher's Guide for Middle School (American Anthropological Association, 2007), <https://www.understandingrace.org/resources/pdf/racemiddleschoolteachersguide.pdf>



ამერიკის სოციალურ მეცნიერებათა ეროვნული საბჭო მიიჩნევს, რომ სკოლაში რასიზმზე საუბარი აუცილებელია, თუმცა, რასა უნდა განიმარტოს, როგორც სოციალური კონსტრუქტი, და არა როგორც ბიოლოგიური მოცემულობა<sup>24</sup>.

ევროპის ქვეყნებში მიმდინარეობს აქტიური მსჯელობა სამეცნიერო წრეებში, თუ როგორ მიეწოდოს მოსწავლეებს ცოდნა და ინფორმაცია „რასებისა“ და რასიზმის შესახებ.

**დიდ პრიტანეთში** გეოგრაფიის ეროვნულ კურიკულუმში „რასა“, როგორც ტერმინი და კონცეფცია, ნახსენები არ არის<sup>25</sup>. **საფრანგეთის** ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ტერმინი „რასა“ არ არის სასწავლო გეგმის ნაწილი და არ ისწავლება, მხოლოდ გამოყენებულია ტერმინი „რასობრივი დისკრიმინაცია“ ისტორიის და სამოქალაქო განათლების პროგრამებში.

გერმანიაში რასობრივი თეორიები არ ისწავლება. ამავე დროს, მიმდინარეობს აქტიური მსჯელობა, როგორ ამაღლდეს მოსწავლეების ცნობიერება

---

24 ob. LaGarrett J. King, Amanda E. Vickery, Genevieve Caffrey, “A Pathway to Racial Literacy: Using the LETS ACT Framework to Teach Controversial Issues,” National Council for the Social Studies (December 2018):36, <https://www.socialstudies.org/social-education/82/6/pathway-racial-literacy-using-lemts-act-framework-teach-controversial-issues>

25 ob. National Curriculum in England, Geography programmes of study: key stages 1, 2, 3 (Crown copyright 2013), [https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment\\_data/file/239044/PRIMARY\\_national\\_curriculum - Geography.pdf](https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/239044/PRIMARY_national_curriculum - Geography.pdf)

<https://bit.ly/3rGxdDq>



რასიზმის და რასების, როგორც მეცნიერულად მცდარი კლასიფიკაციის შესახებ<sup>26</sup> მაგალითად, რაინლანდ-პფალცის პედაგოგიურ ინსტიტუტს (Pädagogisches Landesinstitut Rheinland-Pfalz, რომელიც განათლების სამინისტროს ქვემდებარე უწყებაა), Global Development in Middle School – GEMS პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებული აქვს გზამკვლევი მოსწავლეებისთვის რასისა და რასიზმის ინტერდისციპლინური სწავლების შესახებ<sup>27</sup>. მასში აღნიშნულია, რომ რასები შეიძლება ცხოველების ჯიშების და არა ადამიანების კატეგორიზაციისთვის გამოვიყენოთ. დოკუმენტში მოცემულია სავარჯიშოები მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის, როგორ გაიაზრონ უკეთ რასებად ადამიანების კლასიფიკაციის აბსურდულობა და რასიზმის შედეგები.

---

<sup>26</sup> იხ. გერმანიის სამოქალაქო განათლების ფედერალური სააგენტოს (Bundeszentrale für politische Bildung/bpb) მომზადებული გზამკვლევი მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის, Themenblätter im Unterricht Nr. 110, Alltäglicher Rassismus, September 2017, <https://www.bpb.de/shop/lernen/themenblaetter/>

<sup>27</sup> იხ. Pädagogische Landesinstitut Rheinland-Pfalz, RASSISMUS – GRUNDLAGEN, AUSPRÄGUNGEN, FOLGEN, Fächerübergreifendes Projekt in Biologie und Sozialkunde Klassenstufe 10 Gymnasium zum Orientierungsrahmen für den Lernbereich Globale Entwicklung, (PL,2016), <https://www.bpb.de/shop/lernen/themenblaetter/224136/alltaeglicher-rassismus>

რატომ არის  
მცდარი რასობრივი  
კლასიფიკაციის  
სწავლება სპოლებში

---



საქართველოს ზოგადი განათლების კანონის მიხედვით (მუხლი 3), ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებია: „მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბება“. ამისთვის, საგანმანათლებლო გარემო უნდა უზრუნველყოფდეს „...მოსწავლეში ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემას, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობას“.

ასევე „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან“ გამომდინარე, „დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად“.

**ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI) ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაციაში №10 (2006)<sup>28</sup>, რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის დასაძლევად საგანმანათლებლო სისტემაში, სახელმწიფოებს მოუწოდებს, სასკოლო სახელმძღვანელოებიდან ამოილონ რასისტული შინაარსის მასალები ან ის მასალები, რომლებიც ხელს უწყობს სტერეოტიპული წარმოდგენების ჩამოყალიბებას, შეუწყნარებლობასა და უარყოფითი წინასწარგანწყობების გაღვივებას უმცირესობათა ჯგუფების მიმართ; განათლების სისტემამ მოსწავლეები უნდა აღჭურვოს კრიტიკული აზროვნების უნარებით, რათა მათ შეძლონ სტერეოტიპებისა და შეუწყნარებლობის გააზრება და ასეთი შინაარსის შემცველ მასალებზე რეაგირება; სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სასკოლო სახელმძღვანელოები გადიოდეს რეგულარულ მონიტორინგს, რათა რასისტული ან დისკრიმინაციული შინაარსი შეიცვალოს.**

---

28 იხ. ECRI-ის რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის დაძლევასთან დაკავშირებით ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია №10, <https://rm.coe.int/ecri-general-policy-recommendation-no-10-on-combating-racism-and-racism/16808b5ad5>



მნიშვნელოვანია, რომ რასების შესახებ თეორიებისა და ტერმინ „რასის“ (ადამიანების კლასიფიკაციის მნიშვნელობით) ამოღება აუცილებელია არა პოლიტ-კორექტული მოსაზრებებით, არამედ იმიტომ, რომ თანამედროვე მეცნიერება განსხვავებული რასების არსებობას უარყოფს და თანხმდება, რომ რასები, როგორც უმეტესწილად ცალკეული და გეოგრაფიულად შემოსაზღვრული გენების ერთობლიობა, არ არსებობს.

მოსწავლეებს მსგავსი თეორიები აწვდის მცდარ, არააკადემიურ ინფორმაციას, უყალიბებს არასწორ, სტერეოტიპულ, დისკრიმინაციულ წარმოდგენებსა და ღირებულებებს, ეწინააღმდეგება ზოგადი განათლების მიზნებსა და ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს.

მიზრაცხვას  
და მიზრანტებთან  
დაკავშირებული  
თემების განხილვა  
სახელმძღვანელოში

---



რასისტული ნარატივები ხშირად მჭიდრო კავშირშია ანტიმიგრანტულ განწყობებთან. მიგრაციის მოწინააღმდეგე ადამიანებს ხშირად ქსენოფობიური და რასისტული დამოკიდებულება აქვთ გარკვეული ქვეყნების წარმომადგენლების მიმართ. სასკოლო სახელმძღვანელოებიც აირეკლავს საზოგადოებაში არსებულ განწყობებს. გლობალურ მიგრაციასა და მიგრანტებთან დაკავშირებული თემები შეიძლება მოიცავდეს ისეთ სტერეოტიპებს, რომლებიც აღვივებს ქსენოფობიას, ისლამოფობიას და მიგრანტებსა და ლტოლვილებს, განსაკუთრებით კი უსაბუთო მიგრანტებს, უარყოფით კონტექსტში წარმოაჩენს.

მიგრაციული დინამიკა ევროპაში გარკვეულწილად 2000-იანი წლებიდან დარეგულირდა, თუმცა 2011 წელს სირიაში დაწყებული შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად, ასობით ათასი მიგრანტი წავიდა ევროპის ქვეყნებში თავშესაფრის მისაღებად. ამან გამოიწვია ეკონომიკური და პოლიტიკური, ინტეგრაციასთან დაკავშირებული კრიზისები, რასაც ხშირად „მიგრაციულ კრიზისს“ უწოდებენ. პოპულიზმის ტალღამ და ულტრამერაჯვენე პარტიების მომძლავრებამ ანტიმიგრანტულ, ისლამოფობიურ და ქსენოფობიურ განწყობებს ახალი ბიძგი მისცა.

საქართველოშიც ქსენოფობიური, ძალადობრივი ჯგუფები ხშირად მიზანში იღებენ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, განსაკუთრებით აზიისა და აფრიკის ქვეყნების წარმომადგენლებს. საზოგადოებაში არსებობს მიგრანტების კრიმინალებად, მოძალადეებად, თაღლითებად და მატყუარებად წარმოჩენის, ასევე მიგრაციის პროცესის ევროპის ისლამიზაციასთან დაკავშირების ტენდენცია. მიგრაციის თემატიკამ საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში ანტიდასავლური კონტექსტიც შეიძინა — ევროკავშირის „ლია კარის პოლიტიკა“, რომელიც მიგრანტებისა და ლტოლვილების პრობლემის გადაჭრას ისახავს მიზნად, ევროკავშირის ასოცირებული წევრებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, დეზინფორმატორი ჯგუფების მიერ სავალდებულოდ არის ხოლმე წარმოჩენილი. შესაბამისად, ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესი, მცდარად, მიგრანტების მიღების ვალდებულებასა და ასიმილაციის საფრთხესთან გაიგივდა.

როგორც გლობალური, ასევე ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, მოსწავლეებისთვის მიგრაციასთან დაკავშირებული თემ-



ების განხილვის დროს მიგრაციის ფენომენზე სწორი ინფორმაციისა და წყაროების მიწოდება. თანამედროვე მიგრაციულ პროცესებზე მსჯელობისას თავიდან უნდა ავირიდოთ ისეთი გავრცელებული სტერეოტიპების ტირაუირება, რომლებმაც შეიძლება წაახალისოს ისლამოფობიური და ქსენოფობიური და რასისტული განწყობები.

მნიშვნელოვანია, მოსწავლემ დაინახოს, რომ **მიგრაცია ადამიანისა და კულტურის ევოლუციაში განმსაზღვრელი ფაქტორია**. მას შემდეგ, რაც თანამედროვე ადამიანი გაჩნდა, ის მუდმივად მიგრირებს. მიგრაცია არის ბუნებრივი პროცესი, რაც კაცობრიობის განვითარების ისტორიაში ყველა ეპოქას ახასიათებდა.

ასევე მნიშვნელოვანია, მიგრაციასთან დაკავშირებული თემები განხილული იყოს ადამიანის უფლებების კონტექსტში. ყველა ადამიანს აქვს უფლებები მათი სამიგრაციო სტატუსის მიუხედავად. ყველას, მათ შორის კანონიერ და უსაბუთო მიგრანტს — აქვს ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც გარანტირებულია საერთაშორისო დოკუმენტებით და ეროვნული კანონმდებლობით. საქართველოში ყველა უცხოელი თანასწორია კანონის წინაშე, წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასის, ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, საქმიანობის სფეროს და სხვა გარემოებების მიუხედავად. საქართველო იცავს თავის ტერიტორიაზე მყოფი უცხოელის სიცოცხლეს, პირად ხელშეუხებლობას, უფლებებსა და თავისუფლებებს. მიგრაციის პოლიტიკა კი განსაზღვრულია საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიით, რომელიც აღიარებს იმიგრაციის მნიშვნელობას ქვეყნის განვითარებისთვის.

მაგალითად, სასკოლო სახელმძღვანელოში მიგრაციასთან დაკავშირებული თავი შეიძლება მოიცავდეს შემდეგ სამსჯელო თემებს:

- მიგრაციის თემაზე დისკუსიის დაწყება — რა ახსენდებათ მოსწავლეებს მიგრაციაზე, ვინ არიან ჩართული მხარეები, მიგრაციის მიზეზები;
- მიგრაციის ისტორია — მიგრაციის მაგალითები უძველესი პერიოდიდან დღემდე;
- ლტოლვილები და თავშესაფრის მაძიებლები — რატომ ტოვებენ ადამიანები საკუთარ ქვეყანას და თავშესაფარს რატომ ეძებენ სხვა ქვეყნებში?



- მიგრაციის სოციალური, ეკონომიკური მიზეზები, დისკრიმინაცია, დევნა, შეირაღებული კონფლიქტები და სხვა განმაპირობებელი ფაქტორები;
- რა ეკონომიკური და კულტურული სარგებელი შეიძლება ჰქონდეს მიგრაციას ქვეყნისთვის?

მიგრანტების შესახებ როგორც გლობალურად, ასევე საქართველოში ხშირად ვრცელდება სტერეოტიპები, მცდარი წარმოდგენები, ან დეზინფორმაციული სტატისტიკა, რომელიც ზოგადდება მთელ ჯგუფზე. ამიტომ მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ ამ სტერეოტიპების შესახებ და შეგვეძლოს მათი გაბათილება.

**საზოგადოებაში ხშირად გავრცელებული სტერეოტიპები, არასწორი წარმოდგენები ან მცდარი, შეუსაბამო განზოგადებებია:<sup>29</sup>**

**X მიგრანტები საფრთხეს უქმნიან კულტურულ თვითმყოფადობას და ეკონომიკას**

ამ არგუმენტებით მანიპულირებს ზოგიერთი პოლიტიკური პარტია და ქსენოფონბიური ჯგუფი, რითაც ისინი აღვივებენ მიგრანტების მიმართ სიძულვილს. სინამდვილეში, მიგრაცია საზოგადოების გამრავალფეროვნებას უწყობს ხელს. მიგრაცია და უცხოური ინვესტიციები ახალ სამუშაო ადგილებს ქმნის და ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას.

**მიგრაციისა და მიგრანტთა წვლილის ისტორიული მაგალითებია:**

- 70-100,000 წლის წინ, ჰომო საპიენსმა აფრიკის კონტინენტიდან ევროპისა და აზიისკენ გადაინაცვლა. თანამედროვე ადამიანი და ცივილიზაცია სწორედ მიგრაციისა და მობილობის შედეგად განვითარდა.
- ამერიკის შეერთებული შტატები, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული და ძლიერი სახელმწიფო, სწორედ მიგრანტებმა დააფუძნეს და ააშენეს.

<sup>29</sup> ამავე თემაზე იხილეთ TDI-ის მიერ მომზადებული ვიდეო: <http://tdi.ge/ge/multimedia/gavrcebuli-mitebi-migrantebsa-da-migraciaze>



- მიგრანტებს ახალი უნარები, გამოცდილება და ცოდნა შემოაქვთ. 2020 წელს კომპანია „ბიონტექმა“ „ფაიზერთან“ თანამშრომლობით, კორონავირუსის წინააღმდეგ ვაქცინა შექმნა. კომპანია „ბიონტექი“ გერმანიაში მცხოვრები თურქი წარმოშობის ცოლ-ქმრის უგურ შაჰინისა და ოზლემ ტიურების დაარსებულია.
- საქართველოს ისტორიაში მიგრაციის დადებითი შედეგის ერთ-ერთი კარგი მაგალითია გერმანული დასახლებების შექმნა მე-19 საუკუნეში. გერმანელებმა გახსნეს პირველი ლუდსახარში, ასევე მინერალური წყლების ქარხანა, დაიწყეს ხელოვნური ყინულის წარმოება, დიდი წვლილი შეიტანეს არქიტექტურის განვითარებაში.

**X მიგრაცია უკანონოა. მიგრანტები საქართველოში არალეგალურად ცხოვრობენ**

მაგალითად, 2014 წლიდან 2020 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით, საქართველოში ჯამურად გაცემული იყო 27,080 სასწავლო ბინადრობის ნებართვა. მათგან ნახევარზე მეტი, 15,328, ინდოეთის მოქალაქე სტუდენტებზე მოდის. საქართველოში ჩამოსული სტუდენტები ყველაზე ხშირად სამედიცინო განათლებას იღებენ.

რაც შეეხება შრომით ბინადრობას, 2014 წლიდან 2020 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით, საქართველოში ჯამში გაიცა 44,269 შრომითი ბინადრობის ნებართვა (გაცემული ნებართვების 28 პროცენტი). ყველაზე მეტი — 9,598 ნებართვა გაიცა თურქეთის მოქალაქეებზე. თუმცა, გაცემული შრომითი ბინადრობების რაოდენობამ 2018 წლიდან მკვეთრად იკლო, რაც შესაძლოა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირებასთან იყოს დაკავშირებული<sup>30</sup>.

---

<sup>30</sup> იმიგრანტთა ინტეგრაციის პოლიტიკა და პრაქტიკა საქართველოში, მიღწევები და გამოწვევები. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), 2021, <https://bit.ly/3kISY8E>



**X** უძრავი ქონების უმეტესობას საქართველოში ირანელები, თურქები და ინდოელები ფლობენ

სინამდვილეში, ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 2015-2018 წლებში საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შორის, საკუთრების უფლებით, სასოფლო და არასასოფლო უძრავი ქონების 40%-ს რუსეთის მოქალაქეები ფლობდნენ<sup>31</sup>!

რაც შეეხება მუდმივი ცხოვრების უფლებას, 2014-2020 წლებში საქართველოში ჯამში გაიცა 14,772 მუდმივი ცხოვრების ნებართვა. აქედან ყველაზე მეტი ნებართვა გაიცა რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებზე — ჯამში 3,903; რაოდენობის მხრივ მეორე ადგილზე არიან აზერბაიჯანის მოქალაქეები — 3,258 ნებართვა; შემდეგ კი სომხეთის მოქალაქეები — 2,058 ნებართვა.

**X** მიგრანტები განვითარებულ ქვეყნებში ძირითადად იაფი მუშახელია, და მხოლოდ დაბალანაზღაურებად სამუშაოს ასრულებენ. აზია-აფრიკის ქვეყნების წარმომადგენლებს განსაკუთრებით უჭირთ ინტეგრაცია და მასპინძელი ქვეყნების კულტურულ ნორმებს არ იღებენ

გავრცელებული შეხედულებაა, რომ მიგრანტები ღარიბი ქვეყნებიდან მიდიან განვითარებულ ქვეყნებში და იქ ძირითადად მძიმე სამუშაოს ასრულებენ. „მიგრაციის კრიზისის“ ფონზე ასევე მომდლავრდა აგრესიული განწყობები ლტოლვილებისა და უსაბუთო მიგრანტების მიმართ, რომლებმაც პოლიტიკური დევნის, მშობლიურ ქვეყანაში შეირაღებული კონფლიქტების ან გაუსაძლისი გარემოს გამო, ევროპის ქვეყნებს შეაფარეს თავი. პოპულისტური ჯგუფები და ულტრამემარჯვენე პარტიები ევროპაში სწორედ ამგვარ განწყობებსა და რიტორიკაზე აგებენ ხოლმე თავიანთ დღის წესრიგს. ისინი ამტკიცებენ, რომ მიგრანტები საფრთხეს უქმნიან კულტურას, ტრადიციებს და მასპინძელ ქვეყანაში ინტეგრაცია არ სურთ.

31 იხ. „მითების დეტექტორის“ სტატია, <https://www.mythdetector.ge/ka/myth/2-miti-utskhoelebis-mier-sakartveloshi-udzravi-konebis-plobis-shesakheb>



სწორედ ამ სტერეოტიპის წინააღმდეგ დახატა ქუჩის მხატვარმა ბენკსიმ 2015 წელს ლტოლვილთა ბანაკის, „ჯუნგლების“ კედელზე თავისი ცნობილი ნამუშევარი. სტენსილზე ჩანს კომპანია Apple-ის დამფუძნებელი სტივ ჯობსი თავის სავიზიტო სვიტერში. თუმცა ამ შემთხვევაში, იგი სირიელი ლტოლვილია დიდი ტომრით მხარზე, ხელში Apple-ის პირველი კომპიუტერით.

ქუჩის ნახატი მიუთითებს სტივ ჯობსის წარსულსა და მემკვიდრეობაზე — იგი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკაში მიგრირებული სირიელი მიგრანტის შვილი იყო. განცხადებაში, რომელიც მის ნამუშევრებს იშვიათად ახლავს, ბენკსიმ დაწერა: „ხშირად გვარწმუნებენ, რომ მიგრაცია ქვეყნის რესურსებისთვის საფრთხეა, მაგრამ სტივ ჯობსი სირიელი მიგრანტის შვილი იყო. „ეფლი“ მსოფლიოში ყველაზე მაღალი მოგების მქონე კომპანიაა, წელიწადში 7 მილიარდზე მეტ გადასახადს იხდის და მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ ჰომისიდან ჩამოსული ახალგაზრდა კაცი მიიღეს“. სტივ ჯობსის მამა, სწორედ სირიის ქალაქ ჰომსში დაიბადა. მოგვიანებით ბიოლოგიურმა ოჯახმა სტივი სან-ფრანცისკოში გააშვილა.

**წყარო:** [WideWalls: https://www.widewalls.ch/magazine/banksy-steve-jobs-calais](https://www.widewalls.ch/magazine/banksy-steve-jobs-calais)

მულტიმედია მასალები  
საქართველოში  
მცხოვრებ მიზრანზებზე

---



## TDI-ს და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პარტნიორობით, მედიის მიერ მომზადებული მასალები:

- “ქუთაისი პოსტი”: თურქი ბიზნესმენის, ჰაკიმ ჩიჩეკის ცხოვრება ქუთაისში
- “ფორმულა მედია”, გადაცემა “დროება”: ტიმოთის და ნინოს ქართული ოჯახი
- “ქუთაისი პოსტი”: საქართველო სამშობლოსავით მიყვარს — ერაყელი სტუდენტის ამბავი ქუთაისიდან
- “ბათუმელები”: სომეხი მეწარმის, ჰაიკ ასრიანცის ისტორია ბათუმიდან
- “On.ge”: ირანიდან საქართველოში – რა გზა გაიარეს და რაზე ოცნებები ფარზანი და ფუუანი
- “On.ge”: „ჩემი ოცნებაა აქ ლვინო დავაყენო“ — იაპონელი ბიჭის ისტორია საქართველოში
- “ბათუმელები”: ჯონას შაიკის, 25 წლის ბელგიელის ისტორია სოფელ თაგოდან
- “რადიო თავისუფლება”: სულთანა — ავლანეთიდან საქართველოში
- “რადიო თავისუფლება”: მარიამის „სრული თავისუფლება“ — ირანელი მარიამ შარიფის ისტორია
- “JAMNews”: ნიგერიელი სტუდენტები რასიზმსა და მეგობრობაზე, რომელიც საქართველოში დახვდათ
- “რადიო თავისუფლება”: “ფეგა — სინათლე მზის ამოსვლამდე“ — ირანელი გოგოს ცხოვრება საქართველოში
- “On.ge”: ხუთი ამბავი ტოლერანტობასა და რასიზმზე
- “ფორმულა მედია”: ჯორჯი რუსთავიდან



## TDI-ს მიერ მომზადებული მასალები

### ვიდეოისტორიები:

- კამერუნელი ჯორჯი
- თარაში შრი-ლანკიდან
- შერონი, ნიგერიელი სტუდენტი საქართველოში
- სოროუში ირანიდან
- დარისპანის ბედნიერება

### ფოტოისტორიები:

- ნიგერიელთა პროტესტანული ეკლესია თბილისში
- ლუკა: მრავალფეროვნების სახე
- აარონი, ცეკვის მასწავლებელი
- ოინლადი და სტივენი, ნიგერიელი ოჯახი
- ალიუთ ავიუარადა, ტრადიციული სინჰალური ახალი წელი



## სახელმძღვანელოს ხშირად გამოყენებული ტერმინები და მათი სწორი განმარტებები

**აბორიგენები** — ავსტრალიის მკვიდრი მოსახლეობის აღწერისას ტერმინი „აბორიგენის“ გამოყენება, ერთი მხრივ, მოძველებულად, ხოლო მეორე მხრივ, არაკორექტულად მიიჩნევა. ტერმინი „აბორიგენის“ ეტიმოლოგიური მნიშვნელობა ლათინური ენიდან მოდის და სწორედ მკვიდრ მოსახლეობას გულისხმობს. თუმცა მკვიდრი მოსახლეობა მას ხშირად შეურაცხმყოფლად მიიჩნევს შეძენილი უარყოფითი კონტაციებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არსებითი სახელის მნიშვნელობით იყენებენ (განსხვავებით „აბორიგენული ხალხისა“). ნეიტრალური ტერმინია „მკვიდრი მოსახლეობა“.

**არალეგალები** — ტერმინები არაეთიკურია და უარყოფითი კონტაციის გამო გამოიყენება არასწორად უკანონო მიგრაციის და უკანონო მიგრანტების აღსაწერად. უკანონო მიგრანტებთან მიმართებით გამოიყენება ტერმინები, „დოკუმენტების გარეშე მყოფი პირი“, „უსაბუთო მიგრანტი“.

**ინდიელები** — არაკორექტული და მცდარია დასახელება „ინდიელების“ გამოყენება, რომელიც უკავშირდება კოლუმბის მიერ დაშვებულ შეცდომას. სწორი და კორექტულია მკვიდრი ამერიკელების (native Americans) და ამერიკის მკვიდრი მოსახლეობის (Indigenous peoples of the Americas) გამოყენება, როგორც ისინი თავად უწოდებენ საკუთარ თავს. ასევე, არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაცია მკვიდრი მოსახლეობის უფლებების შესახებ (2007).

**მეტისი** — მეტისები პოლიეთნიკური მკვიდრი მოსახლეობაა კანადასა და მტკნარი ტბების რეგიონში. მეტისი კონკრეტული ხალხია თავიანთი განსხვავებული კულტურითა და ენით. კანადის კონსტიტუციით ისინი აღიარებული არიან, როგორც მკვიდრი მოსახლეობის განსხვავებული ჯგუფი.

**მულატი** — რასისტული კლასიფიკაციის ტერმინია. ასე მოიხსენიებდნენ თეთრკანიანისა და შავკანიანის შვილს.



**სამბო** — არის მკვიდრი მოსახლეობის აღმნიშვნელი შეურაცხმყოფელი ტერმინი, ზოგ კონტექსტში აფრიკული წარმოშობის აღმნიშვნელადაც გამოიყენებოდა.

**ზანგი** — ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშია იმისა, რომ დამკვიდრებულ ტერმინს თანამედროვე სამეტყველო ენაში ნეგატიური შინაარსი შეიძლება ჰქონდეს შეძენილი. თუკი, ეტიმოლოგიურად, „ზანგი“ აღნიშნავს მხოლოდ კანის ფერს, კოლექტიურ ცნობიერებაში ეს დასახელება უარყოფით, დამაკნინებელ შინაარსს იძენს. მაგალითად, ფრაზა „ზანგები ხო არ ვართ“, ან „გაზანგებული“, ორივე შემთხვევაში, მონობასა და დაჩაგრულობას, რასიზმს, დამამცირებელ სტატუსში ყოფნას გამოხატავს. ამდენად, ზანგის ნაცვლად შავკანიანი ან „აფრო-ამერიკელი“ უნდა იყოს გამოყენებული. ეს რეკომენდაცია არ ეხება წყაროებსა და მხატვრული ლიტერატურის ტექსტებს, არამედ, უშუალოდ სარედაქციო თხრობას, კომენტარებსა და შეკითხვებს უკავშირდება.

**შენიშვნა:** აფრიკელი ამერიკელი (აფრო-ამერიკელი) კონკრეტულად აშშ-ში მცხოვრებ აფრიკული წარმოშობის ადამიანს გულისხმობს და არაადეკვატურია მისი გამოყენება, მაგალითად, საქართველოში მცხოვრებ ნიგერიის მოქალაქესთან მიმართებით.